DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.24

ისპირის რაიონი (ისპირის ილჩე) თურქულ ვიკიპედიაში

İSPIRI DISTRICT (İSPIR İLÇE) IN TURKISH WIKIPEDIA

მალხაზ ჩოხარაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Malkhaz Chokharadze
Shota Rustaveli State University, Professor
Batumi, Georgia

აბსტრაქტი

ისპირის რაიონი (ილჩე) თურქეთის რესპუბლიკის ერზრუმის პროვინციის (ილის) შემადგენლობაშია. იგი მდებარეობს მდინარე ჭოროხის ზემოწელზე. წინათ იგი საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი იყო და იწოდებოდა როგორც სპერი. რაიონში ამჟამინდელი ოფიციალური ნომენკლატურით არის 89 სოფელი. ცენტრალური დასახლება, ანუ რაიონის ცენტრი არის ქალაქი ისპირი.

სპერის არაერთი დასახლებული პუნქტი უძველესი დროიდან იხსენიება ქართულ თუ უცხოურ წყაროებში. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს რეგიონი ჭოროხის აუზის სხვა „ქვეყნებთან“ შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. კომპლექსური კვლევების პროცესში ბუნებრივად ჩნდება ინტერესი ელექტრონული საინფორმაციო სივრცის მიმართ. ნაშრომი, სხვა წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად, ძირითადად ეყრდნობა თურქული ვიკიპედიის მონაცემებს, ასევე, ჭოროხის აუზის ექსპედიციებში წლების განმავლობაში მოპოვებულ საველე მასალებს.

ვიკიპედიის განყოფილება თურქულ ენაზე 2002 წლიდან არსებობს. იქ წარმოდგენილია ინფორმაცია საზოგადოდ ქვეყნის და კერძოდ ჭოროხის აუზის დასახლებათა შესახებ. ცალკეული სოფლებისთვის დათმობილი გვერდი სტანდარტულია და მოიცავს ინფორმაციას სოფლის ისტორიისა და მდებარეობის შესახებ. მოცემულია რუკები, ცნობები მოსახლეობის რაოდენობაზე. ასევე, სტატიის რედაქტირების ისტორია, გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია და ა.შ. საისტორიო ქრონიკაში წარმოდგენილია ინფორმაცია სოფლის ძველი სახელის შესახებ, ზოგჯერ განმარტებულია ფუძესიტყვის მნიშვნელობაც. აღწერის ძველი ოსმალური დავთრების (ძირითადად გამოყენებულია 1642 და 1835 წლების დავთრები. ასევე, ზოგჯერ, 1896 წლის ან სხვა აღწერები) საფუძველზე მითითებულია ძველ ეპოქებში ოჯახების რაოდენობა რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით.

წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა გარკვეული საინფორმაციო ჩარჩო, ზოგადი სტანდარტი, თუმცა ზოგჯერ ეს სტანდარტი დარღვეულია და ინფორმაცია გაცილებით უფრო ფართოდ და საინტერესოდ არის წარმოდგენილი. შეიძლება მსჯელობა სტატიათა რედაქტირების პროცესის, ინფორმაციის სუბიექტური და ობიექტური შრეების მიმართებათა შესახებაც.

საკვანძო სიტყვები: ჭოროხის აუზი, სპერი, ელექტრონული საინფორმაციო სივრცე.

ABSTRACT

Ispir Ilçe (district) is a part of Erzurum Province, Turkey. It lies in the headwaters of the Chorokhi River. Historically, it was a region of Georgia known as Speri. The district consists of 89 villages, according to the current official nomenclature. The central settlement, or administrative center, is the city of Ispir.

Numerous settlements in Speri have been mentioned in both Georgian and foreign sources since ancient times. Nevertheless, it can be stated that this area remains relatively under-researched compared to other regions of the Chorokhi basin. As part of the comprehensive research process, there is a natural interest in digital information sources. This paper primarily relies on data from Turkish Wikipedia, along with various other sources and scientific literature, as well as field materials collected over the years during expeditions in the Chorokhi basin.

The Turkish-language section of Wikipedia has existed since 2002. It contains a wealth of information about the country in general and the settlements of the Chorokhi basin in particular. Each village has its own dedicated page, which adheres to a standard format that includes details about the village's history and location. Maps and population statistics are also provided, along with the article's editing history and a list of sources and literature that have been referenced.

The historical chronicle presents information about the ancient name of the village, occasionally clarifying the meaning of the root word. Based on the historical Ottoman census records—mainly from 1642 and 1835, and at times referring to the 1896 census or others—the number of households in ancient times is documented by religious affiliation.

Over the years, a consistent informational framework and general standard have been established; however, there are instances where this standard is overlooked, resulting in a broader and more engaging presentation of information. The editing of articles and the relationship between subjective and objective layers of information can also be discussed.

Keywords: Chorokhi basin, Speri, digital information space.

შესავალი

სპერის არაერთი დასახლებული პუნქტი უძველესი დროიდან იხსენიება ქართულ თუ უცხოურ წყაროებში. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს რეგიონი ჭოროხის აუზის სხვა „ქვეყნებთან“ შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. კომპლექსური კვლევების პროცესში ბუნებრივად ჩნდება ინტერესი ელექტრონული საინფორმაციო სივრცის მიმართ. ამ სივრცის ნაწილია თურქული ვიკიპედიის სტატიები, რომლებიც ეხება ისპირის რაიონის სოფლებს.

ვიკიპედიის ინფორმაციით დაინტერესებას აქვს კონკრეტული საფუძველი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კომპლექსური კვლევების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ჭოროხის აუზი. ავტორთა ჯგუფის მიერ გამოიცა: 2011 წელს კომპლექსური მონოგრაფია „შავშეთი“, 2016 წელს – „კლარჯეთი“, 2020 წელს – „ტაო“; ეს იყო შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები. ამჯერად კვლევის ობიექტია სპერი და ბუნებრივია ინტერესი ყველა მეტად თუ ნაკლებად ღირებული ინფორმაციის მიმართ, რომელიც სპერს შეეხება. 2025 გვქონდა მასშტაბური კომპლექსური ექსპედიცია სპერში. მანამდე, მოყოლებული 2005 წლიდან, არაერთხელ ვცადეთ მცირეფორმატიანი ე.წ. დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება. ნაშრომში ძირითადად, ვეხებით სპერის სოფლებს და შესაბამისად საველე მონაცემებთან ერთად გვაინტერესებს ელექტრონული საინფორმაციო სივრცეც.

ვიკიპედიის განყოფილება თურქულ ენაზე 2002 წლიდან არსებობს. იქ ფართოდ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საზოგადოდ ქვეყნის და კერძოდ ჭოროხის აუზის დასახლებათა შესახებ. ბუნებრივია, რომ ზემოხსენებულ სტატიათა თემატური რკალები მრავლისმომცველია და არაერთგვაროვანი. წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა გარკვეული საინფორმაციო ჩარჩო, ზოგადი სტანდარტი, თუმცა ზოგჯერ ეს სტანდარტი დარღვეულია და ინფორმაცია გაცილებით უფრო ფართოდ და საინტერესოდ არის წარმოდგენილი. შეიძლება მსჯელობა ინფორმაციის სუბიექტური და ობიექტური შრეების მიმართებათა შესახებაც.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში გაანალიზებულია თურქული ვიკიპედიის სტატიები, რომლებიც ეხება ისპირის რაიონის სოფლებს. მათი შესწავლა-გააზრებისას ვისარგებლეთ აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდებით. კვლევისას თურქული ვიკიპედიის ტექსტებთან, სხვა წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად გამოყენებულია ჭოროხის აუზის სამეცნიერო ექსპედიციებში წლების განმავლობაში მოპოვებული საველე მასალები.

მსჯელობა

ისპირის რაიონი (ილჩე) ერზრუმის ილის (პროვინციის) შემადგენლობაშია. მდინარე ჭოროხს თუ აჰყვები აღმა იუსუფელის რაიონის (რომელიც ართვინის პროვინციას ეკუთვნის) შემდეგ სწორედ სპერის რაიონია. სპერს მოსდევს ფაზარიოლუს რაიონი და შემდეგ უკვე ბაიბურთის პროვინციაა. ბათუმიდან ისპირამდე რიზეს გზით დაახლოებით 250 კილომეტრია. ართვინის გზით – დაახლოებით 240.

ისპირის რაიონში ამჟამინდელი ოფიციალური ნომენკლატურით არის 89 სოფელი. ცენტრალური დასახლება, ანუ რაიონის ცენტრი, არის ქალაქი ისპირი. რაიონის მოსახლეობა შედგენს 15 ათას სულს. ამათგან დაახლოებით 7 ათასი ცხოვრობს ქალაქ ისპირში, დანარჩენი, 9 ათასამდე სული – სოფლებში. მიგრაციათა, ანუ მოსახლეობის კლების დინამიკაზე მისათითებლად საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ 1990[1] წელს რაიონის მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 34 ათას სულს და მათგან ქალაქ ისპირში ცხოვრობდა 8 ათასამდე.

საკუთრივ სპერის შესახებ ინფორმაცია ვიკიპედიაში იწყება გეოგრაფიული სახელის (ისპირი) განმარტებით. აღნიშნულია, რომ „ისპირი" მომდინარეობს სიტყვიდან „სპერი", რომ აქ ცხოვრობდნენ „სასპერები" და ისინი მოხსენიებულია ჯერ კიდევ ქსენოფონტესთან, ყურადღება გამახვილებულია ქართულ პრეფიქსზე სა- და სიტყვის ეტიმოლოგია დაკავშირებულია იბერიელებთან, ძველ იბერიასთან (İspir… 2025).

სტატიათა რედაქტირების პროცესზე დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ ვიკიპედიის სუბიექტური თუ ობიექტური შრეების ურთიერთმიმართებას. ეს ერთობ ვრცელი და მრავალგანზომილებიანი თემაა და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდით შემოვიფარგლებით. საქმე ისაა, რომ ძველი სტატიების მიხედვით **სპერი** თურქული სიტყვაა, უძველესი თურქული ტომების მიერ დამკვიდრებული…

ცნობილი ფაქტია, რომ თურქული ისტორიოგრაფიის ერთი ნაკადი, რომელიც ვერაფრით მოექცევა სამეცნიერო ისტორიის ჩარჩოში, უაღრესი ტენდენციურობით აღბეჭდილი იდეოლოგიური ნარატივით ქმნის (მეტადრე ფაჰრეთთინ კირზიოღლუს ე,წ, სკოლის ფარგლებში) გაყალბებულ სურათებს მასების ცნობიერებაზე ზემოქმედების, თაობათა ისტორიული მეხსიერების დეფორმაციის მიზნით. ამ ნაკადს თანამედროვე თურქ ისტორიკოსთაგან ყველა როდი აღიარებს და ზოგი უპირისპირდება კიდეც, ყოველ შემთხვევაში, წყაროების, ისტორიული მოვლენების… ასე თუ ისე განსჯის მცდელობა აშკარაა. ეს ტენდენცია ზოგჯერ ნათლად ჩანს ვიკიპედიის ამა თუ იმ სტატიის რედაქტირების პროცესზე დაკვირვებისას. რედაქტირების ზოგიერთ თავისებურებას ქვემოთაც შევეხებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ სპერის შესახებ თავდაპირველ სტატიათა შორის ბევრი იყო უკიდურესად ტენდენციური და ზემოხსენებული იდეოლოგიური ნარატივით გაჯერებული.

კერძოდ, სტატიაში, რომლის განთავსების თარიღად მითითებულია 2006 წლის 2 მარტი, აღნიშნულია: „საქა თურქების ჰესპერიტებისა და ისპირიტების (Saka Türk'lerinin Hesperit ve İspiritz) ტომებმა, რომლებიც მდინარე ჭოროხის აუზში დაახლოებით ძვ. წ. 665 წელს დასახლდნენ, ამ რეგიონს ისპირი უწოდეს. ისპირის დიდებული ციხე, რომელიც აღმართულია ქალაქის შესასვლელთან, დაახლოებით ამ დროს აშენდა და ისტორიაში დატოვა კვალი, როგორც თურქეთის ეროვნულმა სიმბოლომ.

[1] 1989 წლის ადმინისტრაციული რეფორმის საფუძველზე ისპირის რაიონი ორად გაიყო. დასავლეთით მდებარე სოფლები გაერთიანდა ახლადდაარსებულ ფაზარიოლუს რაიონში. ეს მონაცემები ასახავს სწორედ გაყოფისშემდგომი ისპირის რაიონის ვითარებას. 1990 წლის შემდგომ ისპირის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრები მნიშვნელოვნად აღარ შეცვლილა.

თურქული იდენტობის თვალსაჩინო ნიმუშმა. რაიონი 1071 წლის შემდეგ სელჩუკების მმართველობის ქვეშ მოექცა“... (İspir… 2006). ერთ-ერთ წყაროში იმავე ინფორმაციის ზოგიერთი დეტალი დაკონკრეტებულია. მაგალითად, აღნიშნულია, რომ „[გეოგრაფიული სახელი ისპირი მომდინარეობს] საქა თურქების ტომის, სასპერის სახელიდან“... (Çakır 2009).

ვფიქრობ, განმარტების გარეშეც ცხადია, როგორაა „გათურქულებული“ რეგიონის მთელი ისტორია და იდეოლოგიური ნარატივის მიზანიც აშკარაა: სპერის მთელმა მოსახლეობამ, მიუხედავად ბევრის მეხსიერებაში ალაგ-ალაგ შემორჩენილი ხსოვნისა ფესვების შესახებ, უნდა დაიჯეროს, რომ ეს თურქებით დასახლებული მხარე იყო ყოველთვის და ახლანდელი მოსახლეობაც იმ ძველი თურქების შთამომავალია.

ამის შემდგომ, გარკვეული ხნის განმავლობაში, რედაქტირების პროცესი ზემოხსენებული ინფორმაციის ჩარჩოში რჩება. რაღაც დეტალები ასე თუ ისე იცვლება, მაგრამ ძირითადი შინაარსი – ნაკლებად. ამ პერიოდის სტატიებში ქართველები და საქართველო ნახსენები არაა. ინფორმაციის ასე თუ ისე დახვეწა-დალაგებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, სანამ დღევანდელ სტატიამდე მივიდოდა. 2025 წლის სტატია საქა-თურქებისა და სხვათათვის ჯერ კიდევ ტოვებს ადგილს, მაგრამ იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ნარატივი მნიშვნელოვნად შერბილებულია და, როგორც ზემოთაც ვნახეთ, რეგიონის ისტორიაში ქართველთა კვალიც ასე თუ ისე ნახსენებია. მაგალითად, იმავე, 2025 წლის სტატიაში აღნიშნულია:

„ისპირი, რომელმაც, სავარაუდოდ, სახელი სასპერებისგან მიიღო, ხურიტების, ურარტულების, საქების (სკვითების), მიდიელების, სპარსელების, რომაელების, ბიზანტიელების, სასანიდების, უმაიანდების, აბასიანების, სელჩუკების, ილხანიანების, თემურიანების, ქართული სამეფოსა და ოსმალეთის ცივილიზაციის დასახლების ადგილი იყო...

ისპირის ციხე 1499 წელს ოსმალებმა აიღეს, მაგრამ ის მალე დაიბრუნეს ქართველებმა. 1514 წლის ლაშქრობის შემდეგ ისპირი ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მოექცა და 1515 წელს უკვე სანჯაყს წარმოადგენდა“ (İspir… 2025).

მოსახლეობის რაოდენობისა და ვინაობის შესახებ საუბარი საანალიზო სტატიაში იწყება 1642 წლის აღწერის მასალებზე მითითებით. მთელი ინფორმაცია მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლება, თუმცა დამოწმებულ ნაშრომს თუ მივმართავთ, საინტერესო სურათი იხატება. კერძოდ, იქ აღნიშნულია, რომ 1642 წელს ისპირის სანჯაყში 137 სოფელი იყო, 800-ზე მეტი კომლით და მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით ოცი ათას ადამიანს შეადგენდა. მათგან 650 ოჯახი იყო მუსლიმების, ხოლო დაახლოებით 270 ოჯახი – არამუსლიმების. სანჯაყის 65 სოფელში მხოლოდ მუსლიმები ცხოვრობდნენ, 13 სოფელში – მხოლოდ არამუსლიმები, 44 სოფელში მუსლიმები და არამუსლიმები ერთად ცხოვრობგნენ. 15 სოფელში მოსახლეობის შესახებ მონაცემები არაა დაფიქსირებული (Çakır 2009...).

რაც შეეხება უფრო გვიანდელ მონაცემებს, მე-19 საუკუნის სპერის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შედიოდა ერზრუმის ვილაეთში, მოიცავდა თანამედროვე ისპირისა და ფაზარიიოლუს რაიონების ტერიტორიას და ბაიბურთის, იქიზდერესა და იუსუფელის რაიონების რამდენიმე სოფელს. 1835 წლის აღწერის მიხედვით, ისპირის

კაზაში რაიონული ცენტრის ჩათვლით იყო 152 დასახლება. მთელ ამ ტერიტორიაზე მამრობითი სქესის მოსახლეობის (აღწერის დავთარში დაფიქსირებულია მხოლოდ მამაკაცები) საერთო რაოდენობა შეადგენდა 11,308 ადამიანს. ამათგან 10,691 მუსლიმი იყო, 617 – არამუსლიმი (Özger, 2007: 280). ამ მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვივარაუდებთ, რომ დაახლოებით ამდენივე იქნებოდა მდედრობითი სქესის მოსახლეობის რაოდენობაც, შეიძლება დავუშვათ, რომ 1835 წელს ისპირის კაზას მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 20-დან 25 ათასამდე ადამიანს. მათგან 1500-მდე იყო ქრისტიანი, დანარჩენი – მუსლიმი. მოსახლეობის მრავალრიცხოვნებით (ათასი ან მეტი სული) გამოირჩეოდა ჰუნუდი, ანზერი (დღეს რიზეს პროვინციის იქიზდერეს რაიონს ეკუთვნის ადმინისტრაციულად) და სალაჩორი (İspir… 2025; Özger 2007...).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ისპირის მოსახლეობის რაოდენობა და რელიგიური შემადგენლობა ძირითადად სტაბილურია, რადიკალური ცვლილებები არ ჩანს. მაგალითად, 1873 წლის ისპირის 140 სოფელში ცხოვრობდა 2,750 კომლი. მამრობითი სქესის ადამიანების რაოდენობა შეადგენდა 11,303-ს (შესაბამისად, მთელი მოსახლეობის რაოდენობა უნდა ვივარაუდოთ 20 000-ზე მეტი, დაახლოებით 25 000-მდე), მათ შორის 10,500 იყო მუსლიმი მამაკაცი, 628 – გრიგორიანელი, 172 – კათოლიკე და 3 მართლმადიდებელი (Yılmaz 2015).

ამავე წყაროს მონაცემებით, მეოცე საუკუნის დამდეგს, 1901 წელს, ისპირში სულ 35,672 ადამიანი ცხოვრობდა, სოფლების რაოდენობა შეადგენდა 134-ს, კომლებისა – 5,297-ს. 33 107 ადამიანი იყო მუსლიმი (16,807 მამაკაცი და 16300 ქალი), 2487 – გრიგორიანელი (1,245 მამაკაცი და 1,242 ქალი), 78 ადამიანი – კათოლიკე (38 მამაკაცი და 40 ქალი) (Yılmaz 2015).

პირველი მსოფლიო ომის მოვლენებზე საანალიზო სტატიაში მხოლოდ ორიოდე წინადადებაა. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ისპირი და მისი შემოგარენი 1916-1918 წლებში რუსეთის მმართველობის ფარგლებში მოექცა. 1918 წლის 25 თებერვალს პირველი კავკასიური კორპუსის ჯარები ქაზიმ კარაბექირის მეთაურობით ისპირში შევიდა (İspir… 2025).

ცხადია, რომ ამ ეპოქაში ჭოროხის აუზის ყველაზე ტრაგიკული ფურცლები პირველ მსოფლიო ომს უკავშირდება. 1927 წელს ჩატარდა თურქეთის რესპუბლიკის პირველი საყოველთაო აღწერა. ისპირის მოსახლეობამ შეადგინა 32 831 ადამიანი (İspir… 2025), თუმცა მათ შორის ქრისტიანები აღარ იყვნენ.

ძველი ისპირის სანჯაყის ტერიტორიაზე დღეს ისპირისა და ფაზარიოლუს რაიონებია. ფაზარიოლუ 1989 წელს გამოეყო ისპირს და მიიღო ილჩეს სტატუსი. ჩრდილოეთით ამ რაიონებს რიზეს პროვინცია (იქიზდერეს და ჩამლიჰემშინის რაიონები) ესაზღვრება, დასავლეთით – ბაიბურთის პროვინცია (ბაიბურთის ცენტრალური რაიონი), აღმოსავლეთით – ართვინისა და ერზრუმის პროვინციები (იუსუფელის, უზუნდერეს და თორთუმის რაიონები), სამხრეთით – ერზრუმის პროვინციის აზიზიეს რაიონი. ისპირის რაიონის ფართობი არის 2805 კმ², ფაზარიოლუსი – 654 კმ². ისპირის რაიონში, როგორც აღვნიშნეთ, 89 სოფელია, ფაზარიოლუში – 35.

ვიკიპედიაში ცალკეული სოფლებისთვის დათმობილი გვერდი სტანდარტულია და მოიცავს ინფორმაციას სოფლის ისტორიისა

და მდებარეობის შესახებ. მოცემულია რუკები, ასევე, ინფორმაცია მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ასევე, სტატიის რედაქტირების ისტორია, გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია და ა.შ.

ისტორიის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის სტანდარტული ჩარჩო შემდეგნაირია:

მოცემულია ინფორმაცია სოფლის ძველი სახელის შესახებ, უმეტესწილად მითითებულია ძველი ტოპონიმის წარმომავლობა, ზოგჯერ განმარტებულია ფუძესიტყვის მნიშვნელობაც.

აღწერის ძველი ოსმალური დავთრების (ძირითადად გამოყენებულია 1642 და 1835 წლების დავთრები. ასევე, ზოგჯერ, 1896 წლის ან სხვა აღწერები) საფუძველზე მითითებულია ოჯახების რაოდენობა რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით.

მაგალითად, სოფელ **ჩაირიოზუს** (Çayırözü) შესახებ აღნიშნულია, რომ მისი ძველი სახელია **ჩაბანცი** (Çabants – 1846 წლის მონაცემით), ან **ჩაპანსი** (Çapans – 1928 და 1946 წლების მონაცემებით), რომ ეს სიტყვა სომხურიდან მოდის (თუმცა სიტყვის ეტიმოლოგია არ არის განმარტებული); ნათქვამია, რომ „1642 წლით დათარიღებულ ავარიზის დავთრის მიხედვით სოფელში აღწერილია 6 კომლი: 1 მუსლიმი და 5 ქრისტიანი. მე-19 საუკუნის ბოლოს სოფელში მხოლოდ მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობდა. 1835 წლის აღწერის მიხედვით მამაკაცთა რაოდენობა იყო 88, ხოლო 1896 წლის აღწერის მიხედვით - 175“ (Çayırözü... 2025).

როგორც ვხედავთ, ინფორმაცია მოკლეა – სულ სამიოდე აბზაცს, ათიოდე წინადადებას მოიცავს.

სოფელი **გუნეის** (Güney) შესახებ აღნიშნულია, რომ მისი ძველი სახელია **ჰოკა** (Hoka); ძველი ტოპონიმის წარმომავლობის შესახებ არაფერია ნათქვამი. აღნიშნულია, რომ „1642 წლით დათარიღებულ ავარიზის დავთარში აღწერილია 8 ქრისტიანული კომლი. 1835 წელს მამრობითი სქესის მოსახლეობის რაოდენობის დასადგენად ჩატარებული აღწერის მიხედვით სოფელში 35 მამაკაცი ცხოვრობდა – 21 მუსლიმი და 14 ქრისტიანი. აჰმედ შაქირ ფაშას 1896 წლის რეფორმების ფარგლებში ჩატარებული აღწერის მიხედვით მამრობითი სქესის მოსახლეობაში 64 იყო მუსლიმი და 18 ქრისტიანი“.

დასახლებათა წარდგინების სტატიებში, ზოგიერთ შემთხვევაში, სოფლის ძველი სახელის მოკლე განმარტებაცაა მოცემული. მაგალითად, აღნიშნულია, რომ სოფელ აშაღიფინდიკლის (Aşağıfındıklı) ძველი სახელია **ტარპინი** (tarpıni), რომელიც სომხური წარმომავლობის ტოპონიმია და ნიშნავს მჭედელს; სოფელ ჩამლიაქიას (Çamlıkaya) ძველი სახელია **ჰუნუდი** / **ჰუნუთი** (Hunud / Hunut), რომელიც ასევე სომხურია და ნიშნავს მოცვს; სოფელ **ბაჰჩელის** (Bahçeli) ძველი სახელია **ჩირქინი** (Çirkini), რომელიც ქართული წარმომავლობისაა (ჩაწერილია ქართული ასოებით – ჭრიხინი) და ფრინველის ხმიანობას აღნიშნავს; სოფელ **გეჩიტღაზის** (Geçitağzı) ძველი სახელია **გოდრაშენი** ან **კოდრაშენი** (Godraşen / Kodraşen), რომელიც ქართული წარმომავლობისაა და მეკალათეთა / მეგოდრეთა სოფელს ნიშნავს და ა.შ.

რაც შეეხება სოფლების ძველ და ახალ სახელებს, უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნემდე ოსმალეთის იმპერიაში გეოგრაფიული სახელების

ცვლილებათა შემთხვევები იშვიათია. რესპუბლიკური თურქეთის ხელისუფლებამ, მოყოლებული XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, მთელ ქვეყანაში მასობრივად შეცვალა და გაათურქულა ადგილობრივი, ძველი მოსახლეობის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ-დამკვიდრებული ტოპონიმები. მთელ თურქეთში დაახლოებით 28 000-მდე დასახლებულმა პუნქტმა შეიცვალა სახელი. ამ საქმით დაკავებული იყო სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელშიც შედიოდნენ თურქეთის გენერალური შტაბის, შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროების, ანკარის უნივერსიტეტის და სხვა უწყებათა წარმომადგენლები (ჩოხარაძე... 2016: 174). საინტერესოა, რომ აღნიშნული პროცესის გამოძახილი თურქული ვიკიპედიის სტატიებშიც თვალსაჩინოა. კერძოდ, არაერთ სტატიაში ერთი სტანდარტული წინადადებით ახსნილია ცვლილების მიზეზიც. მაგალითად, სოფელ იედიგოზეს შესახებ (ისევე, როგორც სხვა სტატიებში) აღნიშნულია, რომ „რადგან „ქარაფი“ არ არის თურქული სიტყვიდან ნაწარმოები, 1959 წელს შეიცვალა და სოფელს დაერქვა იედიგოზე“ (Yedigöze... 2025).

ყველა სტატიაში ცალკეული სოფლების შესახებ მოცემულია კონკრეტული ინფორმაცია მისი მდებარეობის შესახებ. გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია რუკა, რომელზეც მონიშნულია დასახლებული პუნქტი, მითითებულია ასევე მანძილი პროვინციის დედაქალაქამდე (არზრუმი), რაიონულ ცენტრამდე (ისპირი) და სოფლიდან ცენტრალურ გზამდე. მაგალითად, სტატიაში ზემოხსენებული **გეჩიტღაზის** შესახებ აღნიშნულია, რომ იგი ერზრუმიდან 207 კილომეტრითაა დაშორებული, ხოლო ისპირიდან – 61 კილომეტრით. რომ იგი „ისპირის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და 6,5 კილომეტრიანი სოფლის გზით უკავშირდება D.050 ბაიბურთ-ართვინის (ისპირ-იუსუფელის) სახელმწიფო გზატკეცილს“ (Geçitağzı... 2025).

სოფლების შესახებ ყველა სტატიაში მოცემულია ინფორმაცია მოსახლეობის რაოდენობის შესახებ – ზოგჯერ მე-20 საუკუნის შუა ხანებიდანაც. მითითებულია წლები სხვადასხვა ინტერვალით (მაგ. 1965, 1985, 1990, 2000, 2007, 2008, 2009 და ა.შ.). ქვემოთ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე სოფლის და რამდენიმე წლის მონაცემს, რაც გარკვეულ წარმოდგენას შექმნის არა მხოლოდ ინფორმაციის სტრუქტურის, არამედ სპერის სოფლების მცხოვრებთა ინტენსიური მიგრაციის საზოგადო სურათის შესახებაც:

	ავჯოქოი Avcıköy	*ბაშჩეშმე* Başçeşme	*ჯიბალი* Cibali	*დურუქოი* Duruköy	*მესჯითლი* Mescitli	*იედიგოზე* Yedigöze
1965	588	265	422	822	800	347
1990	265	172	191	676	343	176
2021	77	73	75	256	83	52

ზოგჯერ მითითებულია იმის შესახებაც, რომ ესა თუ ის სოფელი ზამთრობით მოსახლეობისგან იცლება სრულად ან ნაწილობრივ. მაგალითად, ბაშჩეშმეს (Başçeşme) შესახებ აღნიშნულია, რომ იქ „ზაფხულში მოსახლეობა ორასამდე ადამიანს შეადგენს, მაშინ როცა ზამთარში მათი რიცხვი ხუთამდე მცირდება. ამასთან, არაერთი ბაშჩეშმელისთვის სოფელი მხოლოდ საზაფხულო კურორტის ფუნქციას ასრულებს“ (Başçeşme... 2025).

ცალკეული სოფლების ისტორიის შესახებ ვიკიპედიის სტატიებში, როგორც წესი, ბევრი არაფერია ნათქვამი. საინფორმაციო სტანდარტი, როგორც აღვნიშნეთ, მოიცავს ინფორმაციას სოფლის ძველი სახელის შესახებ, მოცემულია (არა ყოველთვის) მოსაზრება ტოპონიმის ფუძესიტყვის წარმომავლობისა და მნიშვნელობის შესახებ. წარმოდგენილია მოკლე განმარტება სოფლის იურიდიული სტატუსის შესახებ და ინფორმაცია სოფლის მოსახლეობის რაოდენობისა და ძველ ეპოქებში რელიგიური შემადგენლობის შესახებ (ძველი აღწერების მიხედვით). ეს სანიფორმაციო სტანტარტი არ გულისხმობს კონკრეტული ისტორიული ფაქტების გადმოცემას, თუმცა ორიოდ გამონაკლისი ამ თვალსაზრისითაც გვხვდება. ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოკლე საისტორიო ქრონიკაც. ზოგჯერ მითითებულია სოფელში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლის შესახებაც (თუმცა საკმაოდ ხშირად ამა თუ იმ სოფელში არსებულ სიძველეზე არაფერია ნათქვამი). უმეტესწილად ინფორმაცია არის მწირი, ორიოდე სიტყვით გადმოცემული.

კონკრეტულ მაგალითებზე საუბარს დავიწყებთ სოფელ **ქალეფისირიქით** (ადგილობრივი გამოთქმით – ყალეფისირიკი. ახლან-დელი სახელი – არაქოი (Araköy). ძველი ტოპონიმიც მიუთითებს იქ არსებული ციხესიმაგრის შესახებ (Kale – ციხე) და ჩვენც სწორედ ციხის ამბავს შევეხებით.

ვიკიპედიის სტატია ციხის შესახებ რამდენიმე წინადადებით გვამცნობს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სოფელში ციცაბო კლდეზე დგას ციხე, რომლის უძველესი ფენა, სავარაუდოდ, ურარტულ პერიოდში აშენდა. ოსმალობის პერიოდში ციხეს მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა და მისი ძირითადი ფუნქცია ხეობის ვრცელი ტერიტორიის გაკონტროლება იყო. 1642 წლის აღწერის დავთრის მონაცემების თანახმად, ყალეფისირიკში იმხანად იმყოფებოდა ორი ციხისთავი, უფრო ზუსტად, ციხისთავი და კიდევ ერთი ოფიცერი (Fısırik Kalesi... 2025), ოცდარვა მეციხოვნე და სამი სასულიერო პირი (Araköy… 2025).

სტატიის ავტორი ძირითადად ეყრდნობა უ. ქუქარაჯისა და მ. აქთემურის ნაშრომს „შუა საუკუნეების ციხესიმაგრე ისპირის რაიონში“. სწორედ მათ გადააქვთ ქალეფისირიკის ციხესიმაგრის აგების თარიღი ურარტუს ეპოქაში. ავტორები ახსენებენ საქართველოსაც, ოღონდ იმ ხალხებისა და კულტურების ჩამონათვალში, რომლებიც ამა თუ იმ პერიოდში ფლობდნენ ჭოროხის აუზს და შესაბამისად – ციხეს. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ვინაიდან აქ სხვადასხვა დროს იყვნენ მიდიელები, სპარსელები, პართიელები, რომაელები, სელჩუკები... ქართველები, ოსმალები და სხვანი, შესაძლოა, თავდაპირველი (ანუ ურარტუელების) ნაგებობის არქიტექტურას გარკვეული ცვლილებები განეცადა (Kukaracı... 2010).

ვარაუდი ურარტულ ეპოქასთან დაკავშირებით ემყარება იმას, რომ, ავტორთა აზრით, ნაგებობა მდებარეობითა და წყალმომარაგების სისტემით ურარტული ციხესიმაგრეების მსგავსია. შესაბამისად, ისინი უარყოფენ ბრიტანელი მეცნიერის ტ. სინკლერის მოსაზრებას, რომ ციხე აგებულია შუა საუკუნეებში და იგი განახლდა ოსმალურ პერიოდში (Kukaracı... 2010).

დასასრულ, შევეხებით თურქული ვიკიპედიის სტატიას, რომელიც კონკრეტულად ამ ციხეს ეხება და იქ ძველი საქართველოც მკაფიოდ ჩანს. სტატიის ავტორების ერთ-ერთი წყარო უ. ქუქარაჯისა და მ. აქთემურის ზემოხსენებული ნაშრომია, მაგრამ ისინი არ ეთანხმებიან მოსაზრებას ურარტულ ეპოქასთან დაკავშირებით. მათი აზრით, ციცაბო, კლდიანი გარემო და წყალგაყვანილობის სისტემა, ციხის ტერიტორიაზე გარკვეული ტიპის წყალსატევის არსებობა, მაინცდამაინც ურარტუელთა არქიტექტურაზე მიმანიშნებელი ვერ იქნება. ტაო-კლარჯეთის რეგიონში ბევრი ციხე ციცაბო კლდეებზე იყო აგებული და მათ წყალსატევებიც ჰქონდა. ისინი აღნიშნავენ, რომ ადრეულ და გვიან შუა საუკუნეებში ეს რეგიონი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. იგულისხმება, რომ სწორედ იმხანად აიგო ციხე, რომ XVI საუკუნის პირველ ნახევარში ქართველებს აქაური მიწა-წყალი ოსმალებმა წაართვეს. ოსმალური პერიოდისაა ციხის აღდგენა-განახლებასთან ჩატარებული სამუშაოები (Fısırik Kalesi... 2025).

კიდევ ერთი მაგალითი შეეხება **ხოტორჭურს**. ამ სოფლისადმი მიძღვნილ სტატიაში ინფორმაცია შედარებით ფართოდ არის წარმოდგენილი (Sırakonak… 2025).

სოფლის თანამედროვე სახელია **სირაქონაქი** (Sırakonak); იგი მდებარეობს ისპირის რაიონის ჩრდილო- აღმოსავლეთით, განაპირას, იუსუფელის რაიონის მოსაზღვრედ. ისპირამდე მანძილი 50 კილომეტრია. არსებითად სირაქონაქი არის თემი, რომლის უბნები გაფანტულია საკმაოდ ღრმა ხეობაში. სტატიაში მითითებულია, რომ თემის ცენტრიდან ბაიბურთ-ართვინის ცენტრალურ გზამდე მანძილი შეადგენს 21,9 კილომეტრს. თემის ერთ-ერთ სოფელში, ჯუჯებაღში, არის ჰიდროელექტროსადგური.

ძველ სახელად მითითებულია **ჰოდიჩური** (Hodiçur) ან **ჰოდიჩორი** (Hodiçor). სამეცნიერო ლიტერატურაში, ცნობარებსა თუ ადგილობრივთა ზეპირ მეტყველებაში გვხვდება სხვა ვარიანტებიც (მათ შორის „ხოტორჭური“, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ), მაგრამ ეს ვარიანტები ვიკიპედიის სტატიაში არ არის ჩამოთვლილი და, მით უმეტეს, განხილული. არ არის წარმოდგენილი არც მოსაზრებები ტოპონიმის (ვარიანტების გათვალისწინებით) ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. 2025 წლის 3 სექტემბრამდელ სტატიებში აღნიშნული იყო, რომ ტოპონიმი მომდინარეობს სომხურიდან და ნიშნავს „საძოვრის წყალს“. 3 სექტემბრის შემდგომ სტატიაში ტოპონიმის განმარტების ეს ვარიანტიც ამოღებულია.

სტატიაში ჩამოთვლილია ხოდოჭურის უბნების (თემის სოფლების) სახელებიც. კერძოდ, დასახელებულია: სოღუჯაქი (Soğucak), ჯუჯებაღი (Cücebağ), ალთინთაში (Altıntaş), იუმრუჯა (Yumruca), იონჯა (Yonca), უჩქარდეში (Üçkardeş), ინჯილი (İncili), აქბაში (Akbaş), ჩავუშლარი (Çavuşlar),სუნგურლუ (Sungurlu), ოჯაქლი (Ocaklı), გუნეშლი (Güneşli), დალლიჯა (Dallıca). უბნების ძველი სახელები არ არის მითითებული.

სტატიაში ორიოდე სიტყვით არის ნახსენები ჯუჯებაღის უბანში მდებარე ეკლესია რომელიც, ავტორის თქმით, „სავარაუდოდ, X-XI საუკუნეებში აშენდა საქართველოს მონარქიის დროს“. 1964 წელს შენობა განაახლეს და მეჩეთად გადააკეთეს. სინამდვილეში მეჩეთად გადაკეთებული ეკლესია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული სომხური ძეგლია (ხუციშვილი... 2019: 24). ამ შემთხვევაშიც ვიკიპედიის სტატიაში მშენებლობის თარიღთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებები

ან სამშენებლო ფენების შესაძლო ვერსიები არ არის წარმოდგენილი. ნაეკლესიარები ხოდოჭურის სხვა უბნებშიცაა (ალთინთაში იუმრუჯა...), თუმცა იქ მხოლოდ ნანგრევთა ფრაგმენტებია შემორჩენილი. ამის შესახებაც საანალიზო გვერდზე არაფერია ნათქვამი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ოსმალობის პერიოდში ხოტორჭური ჩამოყალიბდა მნიშვნელოვან დასახლებად სომხური მოსახლეობით. 1574 წლის აღწერის მონაცემებით, იგი შედიოდა ფერთექრექის სანჯაყში. კომლების რაოდენობა შეადგენდა 334-ს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ დაახლოებით 1800 ადამიანი. უფრო გვიან ხოტორჭური ქისქიმის კაზას ერთ-ერთი ნაჰიე იყო. ტექსტში მითითებულია 1910 წლის ერთ-ერთი დოკუმენტი და აღნიშნულია, რომ თემის ცენტრში სომხებს ეკუთვნოდათ კათოლიკური სკოლა.

ბოლოს აღნიშნულია, რომ დეპორტაციის კანონის შესაბამისად, სომხურმა მოსახლეობამ, რომელიც 1399 მამაკაცისა და 2185 ქალისგან შედგებოდა, დასახლება 1915 წელს დატოვა. ისინი დიარბექირის რეგიონში გაგზავნეს. პირველი მსოფლიო ომის ტრაგიკულ მოვლენებზე, რომელიც ხოტორჭურის მოსახლეობასაც მეტად მძიმედ შეეხო, სხვა არაფერია ნათქვამი.

ტექსტში აღნიშნულია, რომ დაცლილ სოფელში ჩამლიჰემშინის, ჰისარჯიქ კალე-ი ბალასა და ჰემშინის (რიზეს რაიონი) სოფლებიდან ჩამოსახლებულები დასახლდნენ.

1925 წელს იუსუფელის რაიონი ერზრუმის პროვინციას გამოეყო. ქისქიმის სოფლების ნაწილი, მათ შორის ხოტორჭური, ერზრუმის პროვინციაში დარჩა და ისპირის რაიონში გაერთიანდა.

კიდევ ერთ მაგალითად მოვიხმობთ სტატიას სოფელ **იედიგოზეს** (ქარაფის) შესახებ, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ. ვიკიპედიის ტექსტში ძველი ტოპონიმი **ქარაფი** განმარტებულია ქართული ენის საფუძველზე და ნათქვამია, რომ ნიშნავს დიდ კლდეს. საისტორიო ქრონიკა მეტად მწირია და აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ „საქართველოს ეს რეგიონი და, შესაბამისად, სოფელიც ოსმალებმა XVI საუკუნის შუა ხანებში დაიპყრეს“. იქვე მითითებულია სოფელში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლის, კერძოდ, ქარაფის ნაეკლესიარის შესახებ: „მე-10 საუკუნეში აშენებული ქარაფის ეკლესია ცხადყოფს, რომ დასახლება უძველესი დროიდან არსებობს“. იქვე დაზუსტებულია, რომ „…სოფელ იედიგოზეს ცნობილი ისტორიული ნაგებობა ქარაფის ეკლესიაა, რომელიც შუა საუკუნეების ქართველებისგან შემორჩა. ვარაუდობენ, რომ ეს ნაგებობა X საუკუნეში, საქართველოს სამეფოს პერიოდში აშენდა” (Yedigöze... 2025).

აღსანიშნავია, რომ აქ თურქულთან ერთად დამოწმებულია ქართველი ავტორების ნაშრომიც. კერძოდ, ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2018 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები (ხუციშვილი... 2018).

რაც შეეხება ცალკეულ სტატიათა რედაქტირების პროცესს, ჭოროხის აუზის სოფლების შესახებ თურქული ვიკიპედიის ზოგიერთი ძველი ინფორმაცია რომ მეტისმეტად იყო რეალობისგან მოწყვეტილი, ამის შესახებ ადრეც ვწერდით (ჩოხარაძე 2020: 494). კერძოდ, ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ სტატიები იუსუფელის რაიონის სოფლების – ქორთას (ახლა იარბაში – Yarbaşı) და უშხუმის (ახლა იაღჯილარი – **Yağcılar)** შესახებ.

ძველ სტატიებში (მაგ., 2007 და შემდგომი წლები) წარმოდგენილი ე.წ. ლეგენდის თანახმად, ჭოროხის მხარეში ორი ძმა – იშქინი და ქირთე ჩამოსახლდნენ (შუა აზიიდან...). ძმები გაიყვნენ, ერთმანეთთან ახლოს დასახლდნენ და ორი სოფელი დააარსეს. იშქინის სოფელს უშქუმ/უშჰუმ (Uşkum/Uşhum) დაერქვა, ხოლო ქირთეს სოფელს – ქორთა (Yarbaşı... 2007)".

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, აქვე აღვნიშნავთ, რომ ვიკიპედიის ამჟამინდელ ტექსტში შეცვლილია ინფორმაციის წყაროც და, შესაბამისად, თავად ინფორმაციაც. უშხუმის შესახებ მოკლედ აღნიშნულია, რომ ეს სოფელი წინათ ქართველების იყო და ტოპონიმიც ქართული წარმომავლობისაა. რაც შეეხება ქორთას, იქ უფრო ვრცელი ინფორმაციაა მოცემული. კერძოდ, 2021 წლიდან იშქინისა და ქირთეს ისტორია აღარ არის და ტოპონიმის განმარტება ეყრდნობა ქართულ წყაროებს. შესაბამისად, ტექსტის შინაარსი რადიკალურად შეცვლილია. ცვლილებები ამის შემდეგაც არის, რაც ინფორმაციის გაფართოებასა და დახვეწას ისახავს მიზნად. კერძოდ, ამჟამინდელ ტექსტში ნახსენებია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც" და ცქირის ისტორიაც... და ამ უკანასკნელთან დაკავშირებით წყაროდ მითითებულია ისევ ზემოხსენებული კომპლექსური მონოგრაფია „ტაო" (ჩოხარაძე 2020: 494)...

კერძოდ, ამჟამინდელი ტექსტი იარბაშის შესახებ შემდეგია:

„სოფელ იარბაშის ძველი სახელია ქორთა. ადგილის სახელწოდება ქართულია და ფუძესიტყვაა „ქორი" რაც საცხოვრებელს/სახლს ნიშნავს, ან ფრინველს (ქორი). ეს ტოპონიმი თურქულშიც ანალოგიურად შევიდა - ქორთა (Korta), ამავე სახელწოდების სოფელი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზეცაა.

ტაო, სადაც სოფელი ქორთა მდებარეობს, შუა საუკუნეებში საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი იყო. ოსმალებმა ეს მხარე და სოფელი ქართველებს XVI საუკუნის შუა ხანებში წაართვეს.

სახელწოდება ქორთა და სოფლის მიკროტოპონიმები, როგორიცაა: ბოსელეთი, ნაკერავი, ძელიეთი, სამთაგარა… ადასტურებს, რომ ეს ადგილი ძველი ქართული დასახლება იყო.

სახელი ქორთა ასევე მოხსენიებულია IX საუკუნის ხელნაწერში სახელწოდებით „გრიგოლ სანძთელის ცხოვრება". ამ წყაროში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ერთი ქართველი სასულიერო პირი ანჩიდან ქორთაში წავიდა" (Yarbaşı 2025).

რედაქტირების პროცესი საინტერესო სურათებს ხატავს სპერის შემთხვევაშიც. ამჯერადაც მოვიყვან ორიოდ მაგალითს და შევეცდები რამდენიმე, ჩემი აზრით, საყურადღებო დეტალზე გავამახვილო ყურადღება.

გავიხსენოთ ერთხელაც, რომ ისპირის რაიონის სოფლების სახელთა წარმომავლობა თურქულ ვიკიპედიაში უმეტესად სომხური ენის საფუძველზეა ახსნილი (განმარტებათა წყაროდ უმეტესწილად მითითებულია სევან ნიშანიანის მონაცემები.). აღსანიშნავია, რომ სტატიათა რედაქტირების პროცესი შეეხო ტოპონიმების განმარტებებსაც. გაფართოვდა საანალიზო მასალის მოცულობა, გაიზარდა ინტერესი ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მიმართ. ტენდენციის ჩამოყალიბებაზე საუბარი ალბათ, ჯერჯერობით მაინც, ნაადრევია, მაგრამ ძიებათა პროცესი აშკარად ჩანს.

მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, ქალაქ ისპირიდან 15 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს სოფელი ბახჩელი. თურქული ვიკიპედიის ძველ ინფორმაციაში, კერძოდ, 2020 წლის 26 იანვრის ჩანაწერში აღნიშნულია, რომ სოფლის ძველი სახელია ჩირკინი/ჩირქინი და აქ არის უძველესი ეკლესიის ნანგრევები. კერძოდ, მაშინდელი ტექსტის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი იყო შემდეგი:

„დასახლების ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 1.5 კმ-ში მდებარე ბორცვზე დღემდე შემორჩენილია, სავარაუდოდ, მე-9 ან მე-10 საუკუნეში აგებული ეკლესიის ნანგრევები. სოფელი 11 მუსლიმური კომლით 1642 წლის ავარაზის დავთარში მოხსენიებულია, როგორც „ჩირკინი“,(Çirkini) – მდიდარი დასახლება ვენახებითა და ბაღებით. 1835 წლის აღწერით, სოფელში, სადაც მხოლოდ მუსლიმები ცხოვრობდნენ, 122 მამაკაცი იყო, ხოლო 1896 წლის აღწერით 184 მამაკაცი” (Bahçeli, 2020).

ბუნებრივია, ამ ჩანაწერზე დაყრდნობით შეუძლებელია მსჯელობა იმაზე, როგორ გამოითქმის ზეპირმეტყველების დროს ეს სიტყვა. თურქულ ტექსტში ეს სიტყვა შეიძლება წავიკითხოთ როგორც „ჩირქინი” (Çirkini).

აღნიშნული ტექსტი რედაქტირებულია 2023 წლის 1 თებერვალს. ინფორმაცია თითქმის იგივეა, მაგრამ დამატებულია, რომ ძველი სახელწოდება სოფლისა – ჩირკინი – სომხური წარმომავლობის სიტყვაა. წყაროდ მითითებულია სევან ნიშანიანის (nisanyan… 2025) განმარტება (Bahçeli 2023).

2024 წლის 5 იანვრის ცვლილებით ძველი ტოპონიმის განმარტებაში ამოღებულია ინფორმაცია სიტყვის სომხური წარმოშობის შესახებ... სამი დღის შემდეგ კი – 8 იანვრის რედაქციაში, ტექსტში მოცემულია განმარტება ტოპონიმის ქართული წარმომავლობის შესახებ. მეტიც – სიტყვა, რომელიც მიჩნეულია ტოპონიმის საფუძვლად, მოცემულია ქართული ასოებითაც: Çirkini (ჭრიხინი). განმარტებულია, რომ ეს სიტყვა ფრინველის ხმიანობის აღმნიშვნელია და დამოწმებულია ქართული ლექსიკონი (Bahçeli 2024).

აღსანიშნავია, რომ რედაქტირების პროცესი ამით არ დამთავრებულა. ამავე რედაქციაში გაჩნდა ახალი მიკროტოპონიმი: კერძოდ, აღნიშნულია, რომ ბახჩელის ერთი უბანია **გაბანი,** გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს სიტყვა უნდა მომდინარეობდეს ქართული სიტყვიდან **კაპანი.** ამ ჩანაწერში წყარო მითითებული არ არის, მაგრამ მომდევნო რედაქციაში წყაროდ დასახელებულია კომპლექსური მონოგრაფია „ტაო” და მითითებულია გვერდიც (86).

კერძოდ ვიკიპედიის ამჟამინდელ ტექსტში წერია:

„თურქულ წყაროებში ბაჰჩელის ძველი სახელია ჩირკინი. ასეა მოხსენიებული იგი 1642 წლის ოსმალეთის ავარაზის დავთარში, 1835 წლის აღწერის დავთარში და 1928 წლის ოსმალეთის სოფლების სიაში. შესაძლოა, ეს ტოპონიმი მოდის ქართული სიტყვიდან Çrihini (ჭრიხინი), რომელიც ფრინველის ხმიანობას გამოხატავს. ძველი სოფლის სახელი - გაბანი ან კაბანი, რომელიც დღეს ბაჰჩელის უბანია, ასევე მომდინარეობს ქართული „kapani” -დან (კაპანი)” (Bahçeli, 2025).

ამ თემაზე საუბარი შეიძლებოდა აქ დაგვესრულებინა, მაგრამ რაკიღა რედაქტირების სპეციფიკასაც ვეხებით, კიდევ ერთ დეტალს მივაპყრობ ყურადღებას:

როგორც აღვნიშნე, „გაბანი-კაპანი”-ს ვერსიასთან წყაროდ მითითებულია კომპლექსური მონოგრაფია „ტაო”. მითითებულ გვერდზე (86) ნამდვილად არის დაფიქსირებული ტოპონიმი გაბანი, ოღონდ არა სპერში, არამედ ოლთისში.

კერძოდ, ეს არის თავი მონოგრაფიაში პროფ. ზაზა შაშიკაძის ავტორობით – ის მონაკვეთი, სადაც წარმოდგენილია 1574 წლის აღწერის მასალები: დიდი არტაანის ლივაში, ქამხისის ნაჰიეში დასახელებულია სოფელი კაბანი, რომელშიც ცხოვრობს 66 კომლი. მათგან 61 ქრისტიანთა ოჯახია და 5 – მუსლიმთა. შენიშვნაში ზაზა შაშიკაძე მიუთითებს ოსმალური დაწერილობის თავისებურებაზე და აღნიშნავს, რომ ეს ტოპონიმი შეიძლება ამოვიკითხოთ როგორც „კაპანი” (შაშიკაძე 2020: 86).

აშკარაა, რომ ბახჩელის გაბანი/კაბანის განმარტებისას ვიკიპედიის ტექსტის ავტორი სწორედ ამ შენიშვნას ეყრდნობა და სავსებით ლოგიკურია, რომ უბნის სახელად ვარაუდობს „კაპანს”.

ცხადია, ჩვენ მხოლოდ ზოგადი სურათის წარმოდგენას ვცდილობთ და პრობლემათა ფართო ანალიზი არ დაგვისახავს მიზნად. ისიც ცხადია, რომ რედაქტირების ზემოთ აღწერილი პროცესი ცვლილებათა მხოლოდ მცირედი ნაწილია და, ამასთან, სუბიექტურ და ობიექტურ შრეთა მიმართება ყოველთვის ასე მკაფიოდ როდი ჩანს. შესაბამისად ქართველი სპეციალისტების სამუშაო ამ თვალსაზრისითაც, სავარაუდოდ, არაერთი სიახლის შემცველი იქნება. ჩვენ კი ამჯერად ექსპედიციათა ქრონიკებიდან დავსვამთ კითხვას, უფრო ზუსტად, კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ და ამას დავჯერდებით: ისპირის რაიონში, ჭოროხის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს მოზრდილი სოფელი **ჩამლიქაია** (Çamlıkaya), არსებითად ეს არის თემი, რომლის დასახლებები ხეობაშია გაფანტული. ერთ-ერთი დასახლებაა **ბუდაქლი** (Budaklı); მისი ძველი სახელია **ხანძარ**’ი (ვარიანტები: ხანზერ’ი / ხანზარ’ი). ს. ნიშანიანი აღნიშნავს, რომ ტოპონიმი სომხურიდან მომდინარეობს და ნიშნავს „დამწვარს” (nisanyan… 2024). მაგრამ სიტყვა „**ხანძარი**“ ქართული ლექსიკის ნაწილია უძველესი დროიდან და ამ სიტყვისგან ნაწარმოები აშკარად ქართული ტოპონიმები თვალსაჩინოა სწორედ ჭოროხის აუზში. მაგალითად, ა) ხატილას ხეობაში (ართვინთან) მდებარეობს იაილა „ხანძართი“ (ვარიანტები: ხანზართი / ხანძათი / ხანძართა); ბ) პროფ მ. ფაღავას მიაჩნია, რომ ტოპონიმი „**ხანძთა**“ უნდა მომდინარეობდეს „**ხანძართა**“ მრავლობითი ფუძიდან **ხანძართა > ხანძრთა > ხანძთა**. სახელის ფუძე ჩანს **ხანძ- (< ხანძარ-)** (ფაღავა 2017: 115)... ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩამლიქაიას **ხანძარი**’ც სოფლის ძველი ქართული სახელია, მით უმეტეს, რომ ჭოროხის ზემოწელზე, სპერის ხეობებში, დღემდე სხვაც მრავალი ქართული ტოპონიმია შემონახული.

დასკვნა

ამრიგად, სპერის სოფლების შესახებ თურქული ვიკიპედიის სტატიები მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო. ცხადია, ეს ტექსტები არ არის სამეცნიერო ნარკვევები, თუმცა ავტორები სარგებლობენ თანამედროვე მკვლევრების, მათ შორის ქართველი მკვლევრების, ნაშრომებით. წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა გარკვეული საინფორმაციო ჩარჩო, ზოგადი სტანდარტი და დაიხვეწა სტატიათა დიზაინი, რასაც ცხადყოფს რედაქტირების პროცესზე დაკვირვებაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრგან

თვალსაჩინოა ვიკიპედიის ობიექტური თუ სუბიექტური შრეები. ბუნებრივია, ჩვენ ვეხებით რეგიონის წარსული თუ თანამედროვე რეალობის მხოლოდ მცირე ნაწილს და გაცილებით მეტი ჯერაც კვლევის საგანია ელექტრონულ სივრცეში, წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში თუ საკუთრივ სპერის სოფლებში – ამჟამინდელი მოსახლეობის მეხსიერების წიაღში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ფაღავა 2017: ფაღავა მ., კლარჯული ჩანაწერები. თბილისი, 2017. გამომც. „უნივერსალი“.

შაშიკაძე 2020: შაშიკაძე ზ., ტაო ოსმალთა მმართველობის პერიოდში. კომპლექსურ მონოგრაფიაში „ტაო“ (მონოგრაფიის ავტორები: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., ხალვაში რ., შაშიკაძე ზ., მგელაძე ნ., ხალვაში მ., კარალიძე ჯ., ჩხვიმიანი ჯ.). თბილისი, 2020. გამომც. „მერიდიანი“.

ჩოხარაძე... 2016: ჩოხარაძე მ., კლარჯული სოფლები. კომპლექსურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“ (მონოგრაფიის ავტორები: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში რ., შაშიკაძე ზ., მგელაძე ნ., კარალიძე ჯ.). თბილისი, 2016. გამომც. „სამშობლო“.

ჩოხარაძე... 2020: ჩოხარაძე მ., ტაოს სოფლები. კომპლექსურ მონოგრაფიაში „ტაო“ (მონოგრაფიის ავტორები: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., ხალვაში რ., შაშიკაძე ზ., მგელაძე ნ., ხალვაში მ., კარალიძე ჯ., ჩხვიმიანი ჯ.). თბილისი, 2020. გამომც. „მერიდიანი“.

ხუციშვილი... 2019: ხუციშვილი თ., გოზალიშვილი ბ., იმედაშვილი ა., კოღუაშვილი შ., მაისურაძე დ., წიქარიშვილი ლ., ხუსკივაძე ნ., ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2018 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. თბილისი, 2019. „კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა”.

Araköy... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Arak%C3%B6y,_%C4%B0spir დამოწმება: 27.04.2025.

Bahçeli... 2020: https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=Bah%C3%A7eli,_%C4%B0spir&oldid=21380347 დამოწმება: 12.05.2025.

Bahçeli... 2023: https://tr.wikipedia.org/wiki/Kullan%C4%B1+-c%C4%B1:YBot დამოწმება: 12.05.2025.

Bahçeli... 2024: https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=Bah%C3%A7eli,_%C4%B0spir&oldid=31130269 დამოწმება: 12.05.2025.

Bahçeli... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Bah%C3%A7eli,_%C4%B0spir დამოწმება: 12.05.2025.

Başçeşme... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Ba%C5%9F%C3%A7e%C5%9Fme,_%C4%B0spir დამოწმება: 12.05.2025

Çakır 2009: Çakır İ. E., 1642 Tarihli Avârız Defterine Göre İspir Sancağı, https://scholar.google.com.tr/citations?user=cVq_Ub0AAAAJ&hl=tr დამოწმება: 29.06.2025.

Çayırözü... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/%C3%87ay%C4%B1r%C3%B6z%C3%BC,_%C4%B0spir დამოწმება: 30.05.2025.

Fısırık Kalesi... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/F%C4%B1s%C4%B1rik_Kalesi დამოწმება: 27.04.2025.

Geçitağzı... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Ge%C3%A7ita%C4%9Fz%C4%B1,_%C4%B0spir დამოწმება: 30.05.2025).
İspir…2006: https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=%C4%B0spir&oldid=249156 დამოწმება: 30.05.2025.
İspir…2007: https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=%C4%B0spir&oldid=1302896 დამოწმება: 30.05.2025.
İspir… 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/%C4%B0spir დამოწმება: 30.05.2025.
Kukaracı...2010: Kukaracı U., Aktemur M., İspir Çevresinden Birkaç Ortaçağ Kalesi , https://dergipark.org.tr/tr/pub/ataunigsed/issue/2573/33135 დამოწმება: 27.04.2025.
Nisanyan… 2024: https://www.nisanyanyeradlari.com/?y=Budakl%C4%B1&t=&u=1&ua=0) დამოწმება 01.11.2024.
Nisanyan… 2025: https://www.nisanyanyeradlari.com/?l=40.35167%2C40.99065&o=u დამოწმება: 12.05.2025.
Özger 2007: Özger Y., XIX Yzyıkın ilk yarısında İspir ve köylerinin nüfusu, https://www.researchgate.net/publication/269588627_XIX_Yuzyilin_Ilk_Yarisinda_Ispir_ve_Koylerinin_Nufusu დამოწმება: 29.06.2025.
Sırakonak… 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/S%C4%B1rakonak,_%C4%B0spir დამოწმება: 17.05.2025.
Yarbaşı...2007:https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=Yarba%C5%9F%C4%B1,_Yusufeli&oldid=1172459 დამოწმება: 05.05.2025.
Yarbaşı... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Yarba%C5%9F%C4%B1,_Yusufeli დამოწმება: 05.05.2025.
Yedigze... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Yedig%C3%B6ze,_%C4%B0spir დამოწმება: 30.05.2025.
Yılmaz 2015: Yılmaz I., XIX Yüzyılın Son Çeyreğinde İspir Kazasının İdari Yapısı ve Nüfusu, https://dergipark.org.tr/tr/pub/ataunisosbd/issue/2810/37778 დამოწმება: 30.06.2025.

References and Sources

Chokharadze 2020: Chokharadze M., Klarjeti villages. In the complex monograph " Klarjeti " (authors of the monograph: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Chokharadze M., Shioshvili T., Mamuladze Sh., Khalvashi R., Shashikadze Z., Mgeladze N., Karalidze J.). Tbilisi, 2016. Publishing House "samshoblo" (in Georgian).
Chokharadze 2020: Chokharadze M., Tao villages. In the complex monograph "Tao" (authors of the monograph: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Chokharadze M., Shioshvili T., Khalvashi R., Shashikadze Z., Mgeladze N., Khalvashi M., Karalidze J., Chkhvimiani J.). Tbilisi, 2020. Publishing House „Meridiani" *(in Georgian)*.
Khutsishvili… 2019: Reports of 2018 Research Expeditions of Tao-Klarjeti Monuments. Khutsishvili T., Gozalishvili B., Imedashvili A., Koghuashvili S., Maisuradze D., Tsikarishvili L., Khuskivadze N.). Tbilisi, 2019. "Caucasus University Publishing House" (in Georgian).
Paghava 2017: Paghava M., Klarjeti Records. Tbilisi, 2017. Publishing House „Meridiani" (in Georgian).
Shashikadze 2020: Shashikadze Z., Tao during the Ottoman rule. In the complex monograph "Tao" (authors of the monograph: Paghava M., Tsintsadze M., Baramidze M., Chokharadze M., Shioshvili T., Khalvashi R., Shashikadze Z., Mgeladze N., Khalvashi M., Karalidze J., Chkhvimiani J.). Tbilisi, 2020. Publishing House „Meridiani" (in Georgian).

Arakoy… 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Arak%C3%B6y,_%C4%B0spir Retrieved: 27.04.2025.
Bahcheli... 2020: https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=Bah%C3%A7eli,_%C4%B0spir&oldid=21380347 Retrieved: 12.05.2025.
Bahcheli... 2023: https://tr.wikipedia.org/wiki/Kullan%C4%B1c%C4%B1:YBot Retrieved: 12.05.2025.
Bahcheli... 2024: https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=Bah%C3%A7eli,_%C4%B0spir&oldid=31130269 Retrieved: 12.05.2025.
Bahcheli... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Bah%C3%A7eli,_%C4%B0spir Retrieved: 12.05.2025.
Bashcheshme... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Ba%C5%9F%C3%A7e%C5%9Fme,_%C4%B0spir Retrieved: 12.05.2025.
Chakir 2009: Chakir I.E., The sanjak of Ispir according to the avariz defteri of 1642 (in Turkish), https://scholar.google.com.tr/citations?user=cVq_Ub0AAAAJ&hl=tr Retrieved: 29.06.2025.
Chayirozu... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/%C3%87ay%C4%B1r%C3%B6z%C3%BC_%C4%B0spir Retrieved: 30.05.2025.
Fisırik Kalesi... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/F%C4%B1s%C4%B1rik_Kalesi Retrieved: 27.04.2025.
Gechitaghzi...2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Ge%C3%A7ita%C4%9Fz%C4%B1,_%C4%B0spir Retrieved: 30.05.2025).
Ispir…2006: https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=%C4%B0spir&oldid=249156 Retrieved: 30.05.2025.
Ispir… 2007: https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=%C4%B0spir&oldid=1302896 Retrieved: 30.05.2025.
Ispir… 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/%C4%B0spir Retrieved: 30.05.2025.
Kukaraji... 2010: Kukaraji U., Aktemur M., Several medieval castles in Ispir (in Turkish), https://dergipark.org.tr/tr/pub/ataunigsed/issue/2573/33135 Retrieved: 29.06.2025.
Nisanyan… 2024: https://www.nisanyanyeradlari.com/?y=Budakl%C4%B1&t=&u=1&ua=0) Retrieved: 01.11.2024.
Nisanyan… 2025: https://www.nisanyanyeradlari.com/?l=40.35167%2C40.99065&o=u Retrieved: 12.05.2025.
Ozger 2007: Ozger Y., The population of Ispir and its villages in the first half of the 19th century (in Turkish). https://www.researchgate.net/publication/269588627_XIX_Yuzyilin_Ilk_Yarisinda_Ispir_ve_Koylerinin_Nufusu Retrieved: 29.06.2025.
Sirakonak… 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/S%C4%B1rakonak,_%C4%B0spir Retrieved: 17.05.2025.
Yedigoze... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Yedig%C3%B6ze,_%C4%B0spir Retrieved: 30.05.2025.
Yarbashi... 2007: https://tr.wikipedia.org/w/index.php?title=Yarba%C5%9F%C4%B1,_Yusufeli&oldid=1172459 Retrieved: 05.05.2025.
Yarbashi... 2025: https://tr.wikipedia.org/wiki/Yarba%C5%9F%C4%B1,_Yusufeli Retrieved: 05.05.2025.
Yilmaz 2015: Yilmaz I., In The Last Quarter of 19th The Administrative Structure and Population of İspir District (in Turkish), https://dergipark.org.tr/tr/pub/ataunisosbd/issue/2810/37778 Retrieved: 30.06.2025.